



# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/84

„24“ სექტემბერი 2014წ.

## ბ ა ლ ა ნ ყ ვ ე ბ ი ლ ე ბ ა

„თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2010 წლის 29 ნოემბრის №1/232 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2010 წლის 29 ნოემბრის №1/232 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სტრუქტურასა და საშტატო ნუსხაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) III ნაწილის („რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურა და საშტატო ნუსხა“) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

### „5. ბათუმის საქალაქო სასამართლოს აპარატის სტრუქტურა და საშტატო ნუსხა

სტრუქტურული ქვედანაყოფების, აპარატის მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა საშტატო ერთეულების (თანამდებობების) დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა
1. სასამართლოს მენეჯერი - საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი	1
<b>საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება</b>	
1. მოსამართლის თანაშემწე	11
2. სხდომის მდივანი	8
3. სასამართლოს თავმჯდომარის პირადი მდივანი	1
4. თარჯიმანი	1
5. სპეციალისტი (სამეურნეო საკითხებში)	1
6. ქსელის ადმინისტრატორი	1
7. დამხმარე მოსამსახურე (მძღოლი)	1
8. დამხმარე მოსამსახურე (დამლაგებელი)	3
<b>კანცლარია და მოქალაქეთა მისაღები (განყოფილება)</b>	
1. განყოფილების უფროსი	1
2. წამყვანი სპეციალისტი	2
3. სპეციალისტი	4
4. კურიერი	3

მაგისტრტი მოსამართლის აპარატი	
1. სხდომის მდივანი	1
2. სპეციალისტი	1
3. მანდატური	1
4. დამხმარე მოსამსახურე (დამლაგებელი)	1
მანდატურის სამსახური	
1. სამსახურის უფროსი	1
2. მანდატური	6

სულ 49.“;


ბ) IV ნაწილი („საშტატო ერთეულების საერთო რაოდენობა“) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„IV. საშტატო ერთეულების საერთო რაოდენობა**

თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების საშტატო ნუსხა განისაზღვროს 1231 საშტატო ერთეულით.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ლევან მურუსიძე



საქართველოს იუსტიციის  
უმადლესი საბჭოს მდივანი